# ხელშეკრულება № 31
## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 05 ოქტომბერი 2016 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „ქ. ზუგდიდის #6 საჯარო სკოლა“** (შემდგომში – “შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის ია კერზაიას სახით და მეორე მხრივ, **შპს „ავერსი–ფარმა“** (შემდგომში – “მიმწოდებელი’), წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ეკატერინე ზურმენიძის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 160706792 ინდივიდუალური ნომერი 15790663683016) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ფარმაცევტული პროდუქტი (CPV33600000) - (შემდგომში – „საქონელი“), რომლის ზუსტი დასახელება და პარამეტრები მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1–ში.

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. საქონლის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 33.48 (ოცდაცამეტი ლარი და 48 თეთრი) ლარს.

### 4. საქონლის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს კონკრეტული საქონლისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

### 5. საქონლის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. საქონლის შესყიდვის ადგილია: ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზ. #36 (შპს „ავერსი–ფარმა“–ს აფთიაქი). საქონლის შესყიდვის მომენტად ითვლება აღნიშნულ მისამართზე მხარეთა მიერ სასაქონლო ზედნადების გაფორმების თარიღი, რა მომენტიდანაც შემსყიდველზე გადადის 6.1. პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება;

5.2. საქონლის შესყიდვის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა).

5.3. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს 2016 31 ოქტომბრისა.

### 6. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება ფორმდება და მისი გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საბუთებით (სასაქონლო ზედნადები და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა), რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;

7.2. საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის შესყიდვისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს საქონლის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

9.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიმართ, მათ შორის, ფასის შეცვლასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. საქონლის შემოწმების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მოთხოვნებთან;

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან/და დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

14.3. სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე გამოვლენილი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს აქვს უფლება თავისი უფლებები და მოვალეობები გადასცეს მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ინახება მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| **სსიპ „ქ. ზუგდიდი #6 საჯარო სკოლა"** | **შპს „ავერსი–ფარმა"** |
| მის: ქ. ზუგდიდი, თავისუფლების #146 | მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის 148 |
| ს.კ. 219985185 | ს/კ 211386695 |
| სს „ლიბერთი ბანკი" | სს „საქართველოს ბანკი" |
| ბანკის კოდი: LBRTGE22 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ა.ა. GE27LB0121165873728000 | ა/ა GE06BG0000000122932100 |
| დირექტორი: | კომერციული დირექტორი: |
| ი. კერზაია | /გ. ზურმენიძე/ |

დანართი №1
2016 წლის 05 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე

| საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთ. ფასი | საერთო ფასი |
|---|---|---|---|
| ბამბა 50გ (იმპ) | 1 | 0.5 | 0.5 |
| ბინტი 5მx10სმ სტერ.UHP | 1 | 0.4 | 0.4 |
| ბრილიანტის მწვანე 1% 10მლ(თბ) | 1 | 0.29 | 0.29 |
| დექსამეტაზ(დექსტი)4მგ/მლ#10ა | 0.3 | 4.95 | 1.49 |
| ეთანოლი სამედიცინო 50მლ | 1 | 0.7 | 0.7 |
| ვალერიანის ნაყენი 30მლ ფლ | 1 | 0.85 | 0.85 |
| ვალიდოლი (მედილოლი)#10ტ(დარნ) | 1 | 0.45 | 0.45 |
| იმოდიუმი 2მგ #20კაფს | 1 | 8.5 | 8.5 |
| იოდის სპირტხსნარი 5% 10მლ (თბ) | 1 | 0.49 | 0.49 |
| კეტოროლაკი 10მგ #10ტ(ჰუმანითი) | 1 | 1.27 | 1.27 |
| ნახშირი გააქტ.0.25გ #10ტ | 1 | 0.22 | 0.22 |
| ნიშად. სპირტი 10% 100მლ(თბ) | 1 | 0.7 | 0.7 |
| ნო-შპა 40მგ #100ტ | 0.2 | 10.9 | 2.18 |
| ნუროფენი 200მგ #10ტ | 1 | 4.77 | 4.77 |
| პარაცეტამოლი 0.5გ #20ტ | 1 | 0.75 | 0.75 |
| საფენი მარლ.სტერ.16სმ*14სმ#10 | 1 | 0.6 | 0.6 |
| საფენი ჭრილობის 6x7სმ | 1 | 0.15 | 0.15 |
| სინტომიცინის ლინიმ10% 25გ(ნიკფ | 1 | 2.6 | 2.6 |
| სუპრასტინი 25მგ #20ტ | 1 | 5.6 | 5.6 |
| შპრიცი ერთჯერადი 2მლ რ/დგ | 3 | 0.09 | 0.27 |
| წყალბადის ზეჟანგი 3% 100მლ ფლ | 1 | 0.7 | 0.7 |

**მხარეთა ხელმოწერები**

შემსყიდველი:
სსიპ „ქ. ზუგდიდი #6 საჯარო სკოლა“

დირექტორი:

/ი. კერზაია/

მიმწოდებელი:
შპს „ავერსი–ფარმა“

კომერციული დირექტორი:

/ჟ. ზურმენიძე/

მიღება-ჩაბარების აქტი

06. 10. 2016 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ზუგდიდის N6 საჯარო სკოლის დირექტორი ია კერზაიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ხოლო მეორეს სსიპ ქალაქ ზუგდიდის N6 საჯარო სკოლის ექიმი დედიკა ჩემინავას სახით (შემდგომში „მიმღები“), ამ აქტით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა გადასცა ხოლო მიმღებმა მიიღო და N1-01 (გაყიდვის ზედნადები N877) ჩამოთვლილი მედიკამენტები.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო-თითო ეგზემპლარი ინახება აქტზე ხელმომწერ მხარეებთან.

მიღება-ჩაბარების აქტი სწორია, რაზედაც ვაწერთ ხელს.

სკოლა \ია კერზაია\

სკოლის ექიმი \დედიკა ჩემინავა\

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0265933232 |
|---|---|---|

| 2 | 06/10/2016 | | 3 | 16:42:17 |
|---|---|---|---|---|
| | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | | | დრო (საათი, წუთი) |

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს ავერსი-ფარმა | 211386695 | 5 | სსიპ ქალაქ ზუგდიდის N 6 საჯარო სკოლა | 219985185 |
|---|---|---|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი | | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირების გარეშე |
|---|---|---|

| 7 | ქ.ზუგდიდი გამსახურდიას 36 |
|---|---|
| | ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი) |

| 8 | X |
|---|---|
| | ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი) |

| 9 | | 10 | X | |
|---|---|---|---|---|
| | ტრანსპორტირების სახე | | სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი | მისაბმელი |

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | მყიდველი - 0 |
|---|---|---|
| | | თანხა ლარებში |

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალიდოლი (მედილოლი)#10ტ(დარნ) | 23680_0 | ცალი | 1.0000 | 0.4500 | 0.4500 |
| 2 | იმოდიუმი 2მგ #20კაფს | 220_0 | ცალი | 1.0000 | 8.5000 | 8.5000 |
| 3 | კეტოროლაკი 10მგ #10ტ(ჰუმანითი) | 70540_0 | ცალი | 1.0000 | 1.2700 | 1.2700 |
| 4 | ნახშირი გააქტ.0.25გ #10ტ | 552_0 | ცალი | 1.0000 | 0.2200 | 0.2200 |
| 5 | ნო-შპა 40მგ #100ტ | 369_0 | ცალი | 0.2000 | 10.9000 | 2.180υ |
| 6 | ნუროფენი 200მგ #10ტ | 12255_0 | ცალი | 1.0000 | 4.7700 | 4.7700 |
| 7 | პარაცეტამოლი 0.5გ #20ტ | 2949_0 | ცალი | 1.0000 | 0.7500 | 0.7500 |
| 8 | სუპრასტინი 25მგ #20ტ | 507_0 | ცალი | 1.0000 | 5.6000 | 5.6000 |
| 9 | დექსამეტაზ(დექსტი)4მგ/მლ#10ა | 61685_0 | ცალი | 0.3000 | 4.9500 | 1.4900 |
| 10 | ბრილიანტის მწვანე 1% 10მლ(თბ) | 3248_0 | ცალი | 1.0000 | 0.2900 | 0.2900 |

| 13 | 33.33 - ოცდაცამეტი ლარი და ოცდაცამეტი თეთრი |
|---|---|
| | მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად) |

| 14 | შპსავერსი-ფარმა(ზუგდიდი-4 |
|---|---|
| | გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი) |

| 15 | სსიპ ქ. ზუგდიდის #6 საჯარო სკო |
|---|---|
| | მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი) |

| 16 | |
|---|---|
| | ხელმოწერა |

| 17 | |
|---|---|
| | ხელმოწერა |

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 06/10/2016 | 16:42:21 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | 0\0001\0162\0000\06.10.2016\4883\00000\001701\3987 |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 13/10/2016, 12:20:29

0265933232 სასაქონლო ზედნადების დანართი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | ეთანოლი სამედიცინო 50მლ | 2820_0 | ცალი | 1.0000 | 0.7000 | 0.7000 |
| 12 | ვალერიანის ნაყენი 30მლ ფლ | 1218_0 | ცალი | 1.0000 | 0.8500 | 0.8500 |
| 13 | იოდის სპირტხსნარი 5% 10მლ (თბ) | 227_0 | ცალი | 1.0000 | 0.4900 | 0.4900 |
| 14 | ნიშად. სპირტი 10% 100მლ(თბ) | 3204_0 | ცალი | 1.0000 | 0.7000 | 0.7000 |
| 15 | წყალბადის ზეჟანგი 3% 100მლ ფლ | 864_0 | ცალი | 1.0000 | 0.7000 | 0.7000 |
| 16 | სინტომიცინის ლინიმ10% 25გ(ნიჟფ | 483_0 | ცალი | 1.0000 | 2.6000 | 2.6000 |
| 17 | შპრიცი ერთჯერადი 2მლ რ/დგ | 60953_0 | ცალი | 3.0000 | 0.0900 | 0.2700 |
| 18 | ბინტი 5მx10სმ სტერ.UHP | 53219_0 | ცალი | 1.0000 | 0.4000 | 0.4000 |
| 19 | საფენი მარლ.სტერ.16სმ*14სმ#10 | 8360_0 | ცალი | 1.0000 | 0.6000 | 0.6000 |
| 20 | ბამბა 50გ (იმპ) | 5846_0 | ცალი | 1.0000 | 0.5000 | 0.5000 |

| 13 | 33.33 - ოცდაცამეტი ლარი და ოცდაცამეტი თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | შპსავერსი-ფარმა(ზუგდიდი-4 |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | სსიპ ქ. ზუგდიდის #6 საჯარო სკო |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 06/10/2016 | 16:42:21 |
|---|---|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

| 19 | 0\0001\0162\0000\06.10.2016\4883\00000\001701\3987 |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 13/10/2016, 12:20:29

LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 165

თარიღი: 2016 წლის 26 10, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| GEL | |
| GEL | |
| 33.33 | |
| თანხა სიტყვიერად | ოცდაცამეტი GEL და 33 |

გადამხდელის დასახელება: ზუგდიდის #6 საჯარო სკოლა

ანგარიში (დებეტი): GE27LB0121165873728000

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება:

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:

მიმღების დასახელება: შპს ,,ავერსი- ფარმა

საიდენტიფიკაციო კოდი: 211386695

ანგარიში (კრედიტი): GE06BG0000000122932100

მიმღების ბანკი: "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

გადახდის დანიშნულება: წამლების ღირებულება

ხელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 26.10.2016

ხელმოწერა:

LIBERTY BANK